



Dear President von der Leyen and dear members of the European Council,
Dear President Metsola and dear members of the European Parliament,
Dear President Michel and dear members of the European Council,
Dear Mr. Hartzell, Ambassador of the European Union to Georgia,

This is a petition of the Georgian People for the acceptance of Georgia as a member of the European Union.

We are the people of Georgia, irrespective of specific political affiliation, movement, religion, gender, ethnicity or any other identity. Our free and independent country was built on the basis of democratic and humanistic values. We strongly believe that the cornerstones of the future of Georgia are independence, freedom, peace and democracy. The only viable vector of our evolution is aligned with the European Union.

For more than two months we have experienced the horrors of the Russian invasion of Ukraine. During this time the world has witnessed unimaginable atrocities and crimes against humanity, conducted by Putin's regime in Ukraine. We firmly stand with the Ukrainian people in these difficult times and strongly condemn the Russian invasion. This letter however is focused on Georgia, which is intrinsically linked with the struggle of Ukraine.

There exist extraordinary parallels and connections in the fights of these two nations for freedom and independence, and against Russian imperialism. The history unfolding in Georgia provides a prime example of how Russia operates by misleading its neighbors with the sole goal to conquer, occupy and annex.

Georgia is a country with an ancient history, a unique culture and language. It is a crossroad between East and West and is home to a highly tolerant society that integrates different religions and ethnicities.

In 1801 Georgia was annexed and became a part of the Russian empire as a result of a severe violation of the Russian-Georgian Giorgievsk treaty. It regained its independence in 1918 and established a democratic state based on present day western values. For example, in 1918 Georgian women were among the first in the world to gain the right to vote under universal suffrage and to be elected as representatives in the parliament.

In 1921 Georgia was invaded, defeated and annexed by Bolshevik Russia. As a result, Georgia became one of the fifteen republics entering the Soviet Union and suffered enormous repressions by the Communist regime.

During WWII Georgian and Ukrainian soldiers fought alongside others against fascism in Europe. Remarkably, around 300,000 soldiers, which represented 10 percent of the Georgian

population, gave their lives for a free and democratic Europe. Thus, Georgia paid a disproportionately high price for liberating Europe.

Throughout the Soviet period Georgia was a rare example of continuous anti-Soviet resistance, including the massive street protest of 1978 which successfully defended the official status of Georgian language in the Constitution.

After the collapse of the Soviet Union in 1991, Georgia regained its independence. Since then, Georgia fought several wars against invading Russian forces. Perhaps, the most well-known to the rest of the world is the war of Russia against Georgia in 2008. At that time Russia initiated a full-scale invasion, resulting in many civilian casualties, and occupied the regions of Abkhazia and Tskhinvali / South Ossetia. This takeover of 20 percent of Georgian territory is still expanding on a daily basis in form of a creeping occupation. Notably, the war in 2008 was an unrecognized warning sign for the Russian invasions of Ukraine to follow.

Georgia has earned its place in the family of European countries alongside Ukraine. The non-acceptance of Georgia to the European Union would be absolutely devastating for the freedom striving and deserving nation in its long-standing battle for independence, democracy and human values. This said, we equally strongly support the acceptance of Ukraine, as well as of Moldova, to the European Union.

ქალბატონ პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლეიენს და ევროკომისიის წევრებს,
ქალბატონ პრეზიდენტ რობერტა მეცოლას და ევროპარლამენტის წევრებს,
ბატონ პრეზიდენტ შარლ მიშელს და ევროპული საბჭოს წევრებს,
ბატონ კარლ შარცელს, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩს,

ჩვენ, სრულიად საქართველოს საზოგადოება, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, საზოგადოებრივი მოძრაობის, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული თუ სხვა ნიშნით კუთვნილებისა, მოგმართავთ თხოვნით, მხარი დაუჭიროთ საქართველოს განწევრიანებას ევროკავშირში.

ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა დაფუძნებულია დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ფასეულობებზე. გვჯერა, რომ საქართველოს მომავლის ქვაკუთხედი: დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მშვიდობა და დემოკრატია. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასიცოცხლო ვექტორი ევროკავშირისკენ არის მიმართული.

ორ თვეზე მეტია, რაც მტკივნეულად განვიცდით რუსეთის სასტიკ აგრესიას უკრაინაში. მთელი მსოფლიოს თვალწინ პუტინის რეჟიმი სჩადის არაადამიანურ დანაშაულებს კაცობრიობის წინაშე. ამ მიმე დროს ჩვენ მტკიცედ ვდგავართ უკრაინელ ხალხთან და ერთმნიშვნელოვნად ვგმობთ რუსეთის ქმედებებს. ამ მომართვით კი გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ საქართველოს, რომელიც ორგანულად ებმის უკრაინის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

გვსურს გამოვკვეთოთ პარალელები და კავშირები რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ამ ორი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. საქართველოს ისტორია თვალნათლივ აჩვენებს, როგორ იყენებს რუსეთი სიცრუისა და სიყალბის მექანიზმს, რათა განახორციელოს თავისი ერთადერთი მიზანი - დაიპყროს და მიიერთოს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიები.

საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე უძველესი ქვეყანაა, უნიკალური ისტორიით, კულტურითა და ენით. ამ ისტორიულმა მოცემულობამ უდავოდ განაპირობა ის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა მრავალფეროვანი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მომცველი ტოლერანტული საზოგადოება.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველო უკანონოდ მიიერთა ქართულ-რუსული მეგობრობის, ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დარღვევის შედეგად. 1918 წელს საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული დემოკრატიული ქვეყანა შექმნა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1918 წელს საქართველოში ქალებს, ერთ-ერთ პირველებს მსოფლიოში, მიენიჭათ ხმის უფლება და მიეცათ შესაძლებლობა ყოფილიყვნენ არჩეულნი პარლამენტში.

სამწუხაროდ, 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო და მიიერთა ბოლშევიკურმა რუსეთმა, რის შედეგადაც ის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა გახდა. მოგვიანებით, საქართველომ კომუნისტური რეჟიმის მასობრივი რეპრესიები გადაიტანა.

მეორე მსოფლიო ომში ქართველი ჯარისკაცები უკრაინელების და სხვათა გვერდით იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. თავისუფალი და დემოკრატიული ევროპის მომავალს დაახლოებით 300.000 ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეენირა - იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ფასი გაიღო ევროპის ფაშისტური რეჟიმისგან გასათავისუფლებლად.

საბჭოთა პერიოდში საქართველო წარმოადგენდა ანტი-საბჭოური წინააღმდეგობის იშვიათ მაგალითს, რომელსაც მიეკუთვნება 1978 წლის წარმატებული პროტესტი ენის კონსტიტუციური სტატუსის დასაცავად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, 1991 წელს საქართველომ მეორედ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. მას შემდეგ საქართველოს რამდენიმე თვართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის გადატანა მოუხდა რუსეთის ძალებთან. მსოფლიო საზოგადოებისთვის ყველაზე ცნობილია 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომი. რუსეთის შემოჭრას საქართველოს ტერიტორიაზე ემსხვერპლა მშვიდობიანი მოსახლეობა და ოკუპირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, კერძოდ, აფხაზეთის და ცხინვალის / სამხრეთ ოსეთის რეგიონები. რუსეთის აგრესია ამით არ დამთავრებულა, მცოცავი ოკუპაცია დღესაც გრძელდება. სამწუხაროა, რომ 2008 წლის ომს, რომელიც განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო მთელი

მსოფლიოსათვის, სათანადო ყურადღება არ მიექცა და ჯეროვნად ვერ შეფასდა, რასაც მოგვიანებით ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა რუსეთის უკრაინაში შეჭრით.

გვჯერა, რომ საქართველომ, ისევე, როგორც უკრაინამ, დაიმსახურა თავისი ადგილი ევროპის ქვეყნების დიდ ოჯახში. საქართველოს ევროკავშირში არმილება იქნება დამანგრეველი ჩვენი ერისთვის მის მიერ დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და ადამიანური ფასეულობებისთვის ბრძოლაში. ასევე, თანადგომას ვუცხადებთ უკრაინასა და მოლოდინებს და მხარს ვუჭერთ მათ განწევრიანებას ევროკავშირში.

სახელი, გვარი Name, Surname	მცხოვრები Living at	ხელმოწერა Signature
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		